შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის“

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404514762

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, დ. უზნაძის ქ. #103

ელ-ფოსტა: aladashvili@alclinic.ge

ტელეფონი: +995 32 2 95 80 14

ვებ-გვერდი: https://aladashvili.ge/

გენერალური დირექტორი: ქეთევან ბეთანელი

საქმიანობი სფერო: სამედიცინო მომსახურება

მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი: შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“

<u>პრეამბულა</u>

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის“ (შემდგომში - „კლინიკა“) პოლიტიკა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით, დამყარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებზე და სრულად შეესაბამება მას. კლინიკა მკაცრად იცავს პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოებას და კონფიდენციალობას.

წინამდებარე პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს კლინიკის პერსონალისა და პაციენტების პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების, ძირითადი პრინციპებისა და წესების განსაზღვრება მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

კლინიკა მოწოდებულია უზრუნველყოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათი პირადი ცხოვრების, პირადი სივრცისა და პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით. ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, პაციენტების/ბენეფიციარების, თანამშრომლების და ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სუბიექტის პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლითაც კლინიკა ხელმძღვანელობს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას.

<u>პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკა</u>

კლინიკა პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და დაცვას ახორციელებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კლინიკა იღებს ვალდებულებას, დაიცვას თქვენი პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და განმარტავს, თუ როგორ ორციელებს პირის პერსონალური მონაცემებისა და განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, გაზიარებას და დაცვას. პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს პირის უფლებას პერსონალური მონაცემების გამოყენებასთან, წვდომასთან, კორექტირებასა და წაშლასთან დაკავშირებით.

<u>წინამდებარე პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება</u>

წინამდებარე პოლიტიკაში გამოყენებული განმარტებები შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან და მათი ინტერპრეტირება კანონის საწინააღმდეგოდ დაუშვებელია.

პერსონალური მონაცემი (შემდგომში – „მონაცემი“) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება და გამოიყენება კლინიკის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი – მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე ინფორმაცია, თუ იგი მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას იძლევა.

ბიომეტრიული მონაცემი – ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებული, მონაცემთა სუბიექტის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევის მახასიათებელთან (როგორიცაა, მაგალითად: სახის გამოსახულება, ხმის მახასიათებელი ან დაქტილოსკოპიური მონაცემები) დაკავშირებული მონაცემი, რომელიც მისი უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა.

გენეტიკური მონაცემი – მონაცემთა სუბიექტის შემენილი ან მემკვიდრეობით მიღებული გენეტიკური მახასიათებელი, რომელიც ბიოლოგიური მასალის ანალიზით მისი ფიზიოლოგიის ან ჯანმრთელობის შესახებ უნიკალურ ინფორმაციას იძლევა.

მონაცემთა სუბიექტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ არსებული მონაცემი გამოიყენება კლინიკის მიერ საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. ფიზიკური პირი შესაძლებელია იყოს იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი.

მონაცემთა დამუშავება – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.

მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავება – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

მონაცემთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავება – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე.

მონაცემთა ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავება – მონაცემთა დამუშავება ავტომატური საშუალებებისა და არაავტომატური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით.

მონაცემთა მიმღები - ნებისმიერი პირი, ვისაც კლინიკის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, გადაეცა პერსონალური მონაცემი, მათ შორის, უფლებამოსილი პირი, კლინიკის ადმინისტრაციის თანამშრომელი, თანაშემწე, სტაჟიორი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აბიტურიენტი, სტუდენტი, კურსდამთავრებული.

დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი - პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან/და სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

უფლებამოსილი პირი - კლინიკის მიერ, კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე, მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართული პირი, რომელიც მონაცემებს ამუშავებს კლინიკის სახელით ან/და მისი მიზნებიდან გამომდინარე. უფლებამოსილ პირად არ ჩაითვლება კლინიკის შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი.

მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მოქმედების სფერო

წინამდებარე პოლიტიკა სრულად ვრცელდება კლინიკის მიერ პერსონალური მონაცემების ავტომატური, ნახევრად ავტომატური, ან არაავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე და გამოიყენება პერსონალური მონაცემთა დაცვის პროცესში.

აღნიშნული პოლიტიკა ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომელთა მონაცემებიც მუშავდება ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის მიერ, ასევე, მონაცემთა მიმღებზე და იმ უფლებამოსილ პირებზე, რომლებიც კლინიკის სახელით ან მისთვის ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს.

პერსონალურ მონაცემთა კატეგორია

წინამდებარე პოლიტიკა ეხება ყველა სახის პირად მონაცემს, რომელსაც ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა იღებს მონაცემთა სუბიექტისგან ელექტრონული ან მატერიალური სახით, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი პერსონალური მონაცემებით:

- ✓ მონაცემთა სუბიექტის სახელი და გვარი;

- ✓ პირადი ნომერი ან რომელიმე სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და მისი გამცემი ქვეყანა;
- ✓ დემოგრაფიული მონაცემები [როგორიცაა, სქესი და დაბადების თარიღი];
- ✓ რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი;
- ✓ ტელეფონის/მობილურის ნომერი;
- ✓ ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- ✓ საბანკო რეკვიზიტები;
- ✓ მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, როგორიცაა: ცნობები, ისტორია, ანკეტა, დიაგნოზები,რეცეპტები, მედიკამენტური მკურნალობა, ექიმთან ვიზიტები, სხვა;
- ✓ დაზღვევის მონაცემები [როგორიცაა: მომხმარებლის/პაციენტის სადაზღვევო კომპანია, სადაზღვევო პოლისის ინფორმაცია, სადაზღვევო მიმართვა, სადაზღვევო დაფარვა;
- ✓ აუდიო მონიტორინგის ჩანაწერები;
- ✓ ვიდეო მონიტორინგის ჩანაწერები;
- ✓ წინასახელშეკრულებო შრომითი ურთიერთობისას, კანდიდატის შერჩევისას და/ან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე მონაცემთა სუბიექტის მიერ ანკეტაში მოცემული ინფორმაცია;
- ✓ ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო მონაცემები;
- ✓ ლიცენზიები, სერტიფიკატები და განათლების დამადასტურებელი მონაცემები;
- ✓ სხვა ინფორმაცია, რომელსაც მომხმარებელი/პაციენტი ნებაყოფლობით გადაწყვეტს, რომ მიაწოდოს კლინიკას [როგორიცაა: ფოტო, სიმაღლე, წონა, ალერგიები, სისხლის ჯგუფი და სხვა];
- ✓ ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება მონაცემთა სუბიექტს და რის შედეგადაც შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება ან/და დახასიათება ან/და სხვა პაციენტებთან მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

პერსონალურ მონაცემთა მოპოვება და დამუშავება

მონაცემთა სუბიექტისგან მონაცემების მიღება/მოპოვება ხდება სხვადასხვა წყაროების მეშვეობით, მათ შორის:

- ✓ ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის სერვისებით სარგებლობა;
- ✓ მონაცემების მიღება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან, პაციენტის/პაციენტის ნათესავის/პაციენტის კანონიერი წარმომადგენლისაგან ან სხვა სამედიცინო დაწესებულების მიერ გამოწერილი დოკუმენტის საფუძველზე;
- ✓ ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკასთან სახელშეკრულებო ან წინასახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა;
- ✓ მონაცემებზე წვდომა სახელმწიფო/ადგილობრივი/საყოველთაო/მიზნობრივი პროგრამების განმახორციელებლების მფლობელობის ქვეშ მყოფი ელექტრონული სისტემების მეშვეობით;
- ✓ კერძო სადაზღვევო კომპანიების ან სხვა ორგანიზაციების, დაწესებულებების მიერ გაცემული საგარანტიო წერილების/მიმართვების/პოლისების მეშვეობით;
- ✓ სხვა სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის გადამისამართების/გამოგზავნის შედეგად;
- ✓ სასწრაფო სამედიცინო დამხარების ბრიგადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში შეყვანის შედეგად არსებული თანმხლები დოკუმენტაციის მეშვეობით.
- ✓ ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკამ შეიძლება შეაგროვოს და დაამუშაოს მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები ასევე, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პერსონალური მონაცემების დამუშავება გულისხმობს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით პირის პერსონალური მონაცემების შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას.

თანხმობას მონაცემთა სუბიექტი გამოხატავს ზეპირად, წერილობით, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული წესით, რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება და გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი.

კლინიკამ შეიძლება დაამუშაოს მონაცემები მომსახურების საჭიროებიდან გამომდინარე ან განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა მონაცემთა დამმუშავებლის დახმარებით. მონაცემთა დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს კლინიკის მიერ დადგენილ სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზანი

მონაცემთა დამუშავება ხორციელდება სხვადასხვა მიზნით - მომსახურების გაწევა, პაციენტისათვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიწოდება, სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადოდ წარმოება, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სათანადო მართვა და ფუნქციონირება, სამედიცინო დიაგნოზის დადგენა, მკურნალობა, პირის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა, საჯარო ინტერესის შესაბამისად მონაცემების შენახვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, საჩივრებზე, სარჩელებზე, განცხადებებზე, პრეტენზიებზე რეაგირება, სადაზღვევო კომპანიებიდან ან/და შესაბამისი დამფინანსებლ(ებ)ისაგან ანაზღაურების მოთხოვნა/მიღება, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა/შესრულება, სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, მონაცემთა სუბიეტთან შრომით-სამართლებრივ, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მაკონტროლებელი ან სხვა უფლებამოსილი ორგანოსთვის მონაცემების ხელმისაწვდომობა, მარკეტინგული მიზანი და სხვა.

პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლები და პრინციპები

კლინიკის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- ✓ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
- ✓ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- ✓ მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია;
- ✓ მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა თავად მონაცემთა სუბიექტმა;
- ✓ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე მისთვის მომსახურების გაწევის მიზნით;
- ✓ მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- ✓ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;
- ✓ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- ✓ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის, მათ შორის არასრულწლოვნის უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.

მონაცემთა დამუშავება ხდება კონკრეტული პრინციპების შესაბამისად:

- ✓ სამართლიანობა და კანონიერება - პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, პიროვნების ღირსების შეულახავად;
- ✓ მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნის არსებობა - აუცილებელია, არსებობდეს კონკრეტული მიზანი, რისთვისაც ხდება მონაცემთა დამუშავება. სხვა მიზნებით მონაცემების გამოყენება დაუშვებელია.
- ✓ პროპორციულობა და ადეკვატურობა - მონაცემები უნდა დამუშავდეს იმ მინიმალური მოცულობით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნის მისაღწევად; თავად მონაცემებიც, ამ მიზნის შესაბამისი უნდა იყოს.
- ✓ პერსონალური მონაცემების შენახვის ვადა - პერსონალური მონაცემები უნდა ინახებოდეს კანონით განსაზღვრული ვადით ან იმ ვადით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- ✓ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;
- ✓ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გასაცემად;
- ✓ მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით;
- ✓ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციული, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პალიატიური მზრუნველობის, მომსახურების, სამედიცინო მოწყობილობების და პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის მიზებით საქართველოს კანონმდებლობის ან ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად;
- ✓ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში, მათ შორის სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა და მომსახურების მართვისთვის საქართველოს კანონმდებლობით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის კონკრეტული უფლებების განსახორციელებლად;
- ✓ მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;
- ✓ მონაცემები საჯარო გახადა მონაცემთა სუბიექტმა;
- ✓ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- ✓ სხვა კანონისმიერი საფუძვლით.

მონაცემთა დამუშავება უფლებამოსილი პირის მიერ

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა და უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია პერსონალური მონაცემების, დამუშავება განახორციელოს სამართლიანად, კანონიერად, მონაცემთა უფლებების შეულახავად.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემების დაამუშავოს მისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონიერი მიზნებიდან გამომდინარე, რაც საჭიროა შრომითი ან/და ვალდებულებით სამართლებრივი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისათვის.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, ახორციელებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, პასუხისმგებლობა ეკისრება პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებაზე, უკანონო გამოყენებაზე, დაკარგვაზე, შეცვლაზე, განადგურებაზე და სხვა არაკანონიერ ქმედებებზე.

პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა

კლინიკამ სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებს გადასცეს შემდეგი მიზნებისათვის:

- ✓ მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობით კლინიკისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით;
- ✓ ასევე სხვა მესამე პირებთან, სახელმწიფო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე კლინიკის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის.

მესამე პირს წარმოადგენს კლინიკის პარტნიორი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები, სახელმწიფო სექტორში მოქმედი ორგანიზაციები, რომელთან ურთიერთობის და ინფორმაციის გაზიარების აუცილებლობა გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით და/ან სახელშეკრულებლო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებებიდან.

პერსონალური მონაცემების მესამე პირებისგან მოპოვება

კლინიკამ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებისგან მოიპოვოს შემდეგი მიზნებისათვის:

- ✓ მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურების მიწოდებისთვის;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობით კომპანიაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით;
- ✓ ასევე მესამე პირებისგან, სახელმწიფო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე კლინიკის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის.

მესამე პირს წარმოადგენს კლინიკის პარტნიორი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები, სახელმწიფო სექტორში მოქმედი ორგანიზაციები.

მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ვალდებულებები

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოსთხოვოს კლინიკას ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. ასეთ დროს კლინიკა მოთხოვნის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10(ათი) კალენდარული დღისა უზრუნველყოფს შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას:

- ✓ რომელი კატეგორიის მონაცემები მუშავდება მის შესახებ;
- ✓ რა მიზნით მუშავდება მონაცემები;
- ✓ რა საფუძვლით მუშავდება მონაცემები;
- ✓ რა გზით შეგროვდა პერსონალური მონაცემები;
- ✓ გაცემულა თუ არა მისი მონაცემები მესამე პირზე, ვისზე გაიცა - მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს კლინიკას და იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ, მოსთხოვოს მისი პერსონალური მონაცემების გასწორება, დაბლოკვა, განახლება, დამატება, წაშლა, ან განადგურება. ასეთ დროს კლინიკა შესაბამის რეაგირებას ახდენს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე, გამოიხმოს (მოითხოვოს მონაცემების დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებული მონაცემების განადგურება) მის მიერ კლინიკისათვის გაცხადებული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ კლინიკა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებდა მხოლოდ მონაცემთა სუბიქტის მიერ გამოხატული თანხმობის საფუძველზე, კლინიკა უზრუნველყოფს შესაბამისი ქმედების განხორციელებას ასეთი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

თუ კლინიკის მიერ არ მოხდა მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნილი მოქმედების შესრულება, კერძოდ სუბიეტის მოთხოვნის მიუხედავად არ შეწყდა მისი მონაცემთა დამუშავება ან/და მონაცემები არ წაიშალა ან არ განადგურდა, მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.

თუ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში კლინიკამ არ უზრუნველყო მისი პერსონალური მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება, მონაცემთა სუბიექტს ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს საქართველოს,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს და/ან სასამართლოს.

ვიდეოკონტროლისა და აუდიოკონტროლის განხორციელების წესი

დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის და ლეგიტიმური ინტერესების სფეროსთვის მიკუთვნებული სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, კლინიკაში მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეო-აუდიო მონიტორინგი ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით (შემდგომში - მონიტორინგი).

მონიტორინგი ხორციელდება 24/7 საათის განმავლობაში, ხოლო ჩანაწერები ინახება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით ან/და იმ ვადით, რაც საჭიროა კონკრეტული მიზნის მისაღწევად, რის შემდეგადაც ექვემდებარება ავტომატურ განადგურებას, თუ არ არსებობს მონაცემთა უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვის საჭიროება და სამართლებრივი საფუძველი.

ინფორმირების უზრუნველსაყოფად, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას როგორც ვიდეო, ასევე, აუდიოჩაწერის თაობაზე.

კლინიკის მიერ მიღებულია ყველა შესაბამისი ქმედითი და ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჩანაწერებში ასახული მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნება, მათი არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და სხვა.

შენახულ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა, მათი დათვალიერება და რიგ შემთხვევებში, მესამე პირებისთვის გადაცემა შესაძლოა, საჭირო გახდეს სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, თუ არსებობს ეჭვი, რომ ვიდეოჩანაწერზე ასახულია დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის (მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის) ფაქტი, შესაბამის ჩანაწერზე წვდომის ინტერესი უჩნდება საქმის მწარმოებელ ორგანოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების მიზნებისთვის.

ჩანაწერების დათვალიერებასა და მესამე პირ(ებ)ისთვის (მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოსთვის) გამჟღავნება ხორციელდება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში.

სატელეფონო კომუნიკაციისას ზარების ჩანაწერების სისტემის (აუდიომონიტორინგი) მეშვეობით ავტომატურად ხორციელდება ცხელ ხაზზე, ასევე, ცხელი ხაზის მეშვეობით შესაბამის შიდა ნომერზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემავალი ან აღნიშნული ნომრ(ებ)იდან გამავალი ზარების ჩაწერა და დამუშავება მომსახურების სრულყოფისა და ჯეროვნად შესრულების, განცხადებების, პრეტენზიების განხილვისა და რეაგირების, ეთიკის კოდექსისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვის მონიტორინგის, ასევე სხვა ლეგიტიმური ინტერესების დაცვის (მათ შორის, იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნა) მიზნებისათვის, ან კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ასევე, სადაც საჭიროა თანხმობის საფუძველზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვა.

აუდიოკონტროლის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ პირდაპირ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთვევებში და სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში.

მონაცემთა შენახვა და ვადები

კლინიკის მიერ პერსონალური მონაცემების შენახვა ხორციელდება უსაფრთხო ადგილას.

კლინიკა პერსონალურ მონაცემთა ვადებს განსაზღვრავს ყოველ ცალკეულ მონაცემთა კატეგორიაზე ინდივიდუალურად, კანონის, მისი ინტერესის და ლეგიტიმური მიზნის საფუძველზე.

კლინიკა მონაცემთა შენახვის ვადებთან დაკავშირებით ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

- ✓ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები;
- ✓ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები;
- ✓ ხანდაზმულობიდან გამომდინარე ვადები;
- ✓ მაკონტროლებელი ორგანოს შემოწმების ვადები ;
- ✓ ლეგიტიმური მიზნის და/ან ინტერესის არსებობა;
- ✓ მომსახურების გაწევის სპეციფიკა/ფარგლები.

მონაცემთა უსაფრთხოება

კლინიკაში მიღებულია ისეთი გონივრული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

კლინიკაში მკაცრად არის დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, ვისაც მონაცემების დამუშავება სჭირდებათ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

ელ-ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენების წესი

ელ-ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენება სიახლეების მიწოდებისა და სარეკლამოშეტყობინებების (პირდაპირი მარკეტინგი) გაგზავნის მიზნით დასაშვებია მხოლოდ სუბიექტის თანხმობით.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს ელ-ფოსტის ან/და ტელეფონის ნომრის გამოყენებისშეწყვეტა მარკეტინგული მიზნებისთვის, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

კლინიკას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების შესაბამისობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან. საკუთარ საქმიანობაში დამოუკიდებელია და ექვემდებარება ცენტრის მმართველობის უმაღლეს რგოლს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:

- ✓ აკონტროლებს კლინიკაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესს;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს მონაცემთა დამუშავების რისკების შეფასების პროცესში;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან;
- ✓ უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებასა და გადამზადებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;
- ✓ განიხილავს მონაცემთა სუბიექტის განცხადებებს, საჩივრებს და/ან მომართვებს;
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე შესაბამის დაინტერესებულ პირებს;
- ✓ გამოავლენს, შეისწავლის და სათანადო რეაგირებას ახდენს პერსონალურ მონაცემთა დარღვევის ფაქტებზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ კლინიკის ვებ-გვერდზე: https://aladashvili.ge/

ინციდენტი

ინციდენტი წარმოადგენს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევას, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.

ინციდენტის აღმოჩენაზე პასუხისმგებელია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი და მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი. ნებისმიერ ინციდენტთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა წარედგინება პერსონალურ მონაცემთა

დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

თუ ინციდენტი მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ინციდენტის აღმოჩენიდან პირველი შესაძლებლობისთანავე, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აცნობოს მონაცემთა სუბიექტს ინციდენტის შესახებ და მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა)ინციდენტისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების ზოგადი აღწერა;

ბ)ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო/დამდგარი ზიანის, მის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ან სხვა პირის საკონტაქტო მონაცემები.

თუ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება არაპროპორციულად დიდ ხარჯებს ან ძალისხმევას მოითხოვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ზემოაღნიშნული ინფორმაცია გაავრცელოს საჯაროდ ან სხვა ისეთი ფორმით, რომელიც ჯეროვნად უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

მონაცემთა სუბიექტისთვის შეტყობინების ვალდებულება არ წარმოიშობა ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობისას:

- ✓ ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს, სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს, დანაშაულის თავიდან აცილებას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
- ✓ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მიიღო შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, რის შედეგადაც თავიდან იქნა აცილებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მნიშვნელოვანი საფრთხე.

პასუხისმგებლობა

ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკაში დასაქმებული პირები და/ან კონტრაგენტები ვალდებულნი არიან დაიცვან კლინიკის მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.

შრომით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე კლინიკის დასაქმებული, რომელსაც სამსახურებრივი მიზნით და კომპეტენციის ფარგლებში წვდომა აქვს პერსონალურ მონაცემებთან, მათ შორის ახორციელებს მის დამუშავებას და ინახავს ელექტრონულად ან მატერიალურად შესაბამის დოკუმენტაციას ვალდებულია დაიცვას დოკუმენტაციის წარმოების სათანადო წესი და დოკუმენტაციაში არსებული ჩანაწერების კონფიდენციალურობა და შეინახოს აღნიშნული დოკუმენტაცია კლინიკაში შესაბამის

უსაფრთხო ადგილას, სადაც დაცული იქნება დოკუმენტაცია დაზიანება/განადგურებისგან და მესამე პირთა წვდომისგან.

შრომით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, კლინიკის დასაქმებული, რომელიც სამსახურებრივი/კანონიერი მიზნით ინახავს შესაბამის დოკუმენტაციას და ახორციელებს კომპეტენციის ფარგლებში პირის პერსონალური მონაცემების დამუშავებას, პასუხისმგებელია დოკუმენტაციის დაცვაზე და დოკუმენტაციაში არსებული პერსონალური მონაცემების გამჟღავნებაზე, უკანონო გამოყენებაზე, დაკარგვაზე, უკანონო მოპოვებაზე, შეცვლაზე, უკანონო განადგურებაზე და სხვა არაკანონიერ ქმედებაზე. კლინიკის სამედიცინო პერსონალი ვალდებულია დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა და უზრუნველყოს მის ხელთ არსებული პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

შრომით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე კლინიკის სამედიცინო პერსონალი ვალდებულია დაიცვას პაციენტის პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები, მათი დამუშავება განახორციელოს სამართლიანად, კანონიერად, გამჭვირვალედ, მონაცემთა უფლებების შეულახავად.

შრომით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე კლინიკის სამედიცინო პერსონალი, რომელსაც სამსახურებრივი/კანონიერი მიზნით, თავისი კომპეტენციისა და პაციენტისათვის სამედიცინო მოსმახურების გაწევის ფარგლებში წვდომა აქვს და ახორციელებს პაციენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებას, პასუხისმგებლობა ეკისრება პაციენტთა პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებაზე, უკანონო გამოყენებაზე, დაკარგვაზე, უკანონო მოპოვებაზე, შეცვლაზე, უკანონო განადგურებაზე და სხვა არაკანონიერ ქმედებაზე.

შრომით სამართლებრივი ურთიერთბიდან გამომდინარე კლინიკის დასაქმებული, რომელიც სამსახურებრივი/კანონიერი მიზნით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინახავს შესაბამის დოკუმენტაციას, მათ შორის ახორციელებს კომპეტენციის ფარგლებში პირის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემების დამუშავებას, ვალდებულია იხელმღვანელოს და დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, შესაბამისი რეგულაციები, სამედიცინო გაიდლაინები, სხვა სამართლებრივი აქტები.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, უფლებამოსილი სამედიცინო პერსონალი პაციენტთა პერსონალური მონაცემები უნდა დაამუშაოს მისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონიერი მიზნიდან გამომდინარე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და/ან გასაწევი სამედიცინო მომსახურებიდან გამომდინარე საჭიროა პაციენტისთვის მომსახურების სათანადოდ მიწოდების უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის და სხვა საჭიროებებისთვის.

კლინიკის დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. დასაქმებული ვალდებულია არ გაამჟღავნოს და არ გადასცეს სხვისი პერსონალური მონაცემები მესამე პირს.

პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება ძალაში რჩება იმ შემთხვევაშიც, თუ პირი აღარ იმყოფება კლინიკასთან შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში. აღნიშნული მთხოვნების დარღვევის შემთხვევაში კლინიკა უფლებამოსილია მოითხოვოს და ამ შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი/ზარალი.

პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დამტკიცებული წესებისა და არსებული რეგულაციის დარღვევა წარმოშობს კლინიკის დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

მონაცემების განადგურება

კლინიკა ინახავს მხოლოდ იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც მას ესაჭიროება საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებების შესასრულებლად მას შემდეგ, რაც პერსონალური მონაცემები აღარ ემსახურება ზემოხსენებულ მიზნებს, ისინი წაიშლება, განადგურდება ან სამუდამოდ ანონიმური გახდება .

დასკვნითი დებულებები

მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია მიმართოს უფლებების რეალიზების (მონაცემთა დამატება, განახლება, გამოთხოვა, გაცნობა, შესწორება და სხვა), წინამდებარე პოლიტიკასთან დაკავშირებული და მისთვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით კლინიკას შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. #103 , ელ ფოსტაზე: aladashvili@alclinic.ge , ტელეფონის ნომერზე: +995 32 2 95 80 14 ან მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომლის მონაცემებიც მითითებულია კლინიკის ვებ-გვერდზე: https://aladashvili.ge/.

კლინიკა იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილება და განაახლოს წინამდებარე პოლიტიკა, რომელიც განთავსდება კლინიკის ვებ-გვერდზე: https://aladashvili.ge/.

წესები და პროცესები, რომელიც განსაზღვრული არ არის წინამდებარე პოლიტიკით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის და კლინიკის შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესაბამისად .

გენერალური დირექტორი:

ქეთევან ბეთანელი